თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს
ნ. ა.-ს
მოსარჩელის, ლ. თ.-ს სარჩელთან დაკავშირებით
საქმე №3/4452-16

სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის ,,ე" ქვეპუნქტის და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16[1] მუხლის შესაბამისად

ქალბატონო ნ.,

2016 წლის 11 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველს ააიპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" (PHR) ხელმძღვანელმა ა. ა.-მ მომართა განცხადებით, რომლითაც სთხოვა სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენა. განცხადების თანახმად, ორგანიზაცია იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის, ლ. თ.-ს ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავასთან დაკავშირებით. მოპასუხე მხარეს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო ძირითად დავის საგანი მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენაა.

სახალხო დამცველს პატივი აქვს აღნიშნულ საქმეზე წარადგინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლების სავარაუდო დარღვევასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებით სახალხო დამცველს არაერთხელ უმსჯელია და მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხი, თანასწორობისთვის ბრძოლის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. წინამდებარე დოკუმენტით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, სახალხო დამცველი წარმოადგენს მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის გამოვლენის ტესტს, ასევე ყურადღებას გაამახვილებს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხზე.

1. **საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

ლ. თ.-ს დედის, ნ. ტ.-ს განმარტებით, 2016 წლის 25 მარტს განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა მისი შვილის ლ. თ.-ს ჩართვა „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის" პროგრამაში, რომელიც გათვალისწინებულია ქ. თბილისის

2016 წლის ბიუჯეტით. 2016 წლის 29 მარტს, N 10/76521 აქტის საფუძველზე, ლ. თ.-ს უარი ეთქვა პროგრამაში ჩართვაზე იმ საფუძვლით, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N133-129 დადგენილებით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ პროგრამის მოსარგებლეებს წარმოადგენენ 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედი რეგისტრაციის მქონე 2-დან 15 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები. ლ. თ.-ს კი უარი ეთქვა პროგრამით სარგებლობაზე იმის გამო, რომ ის არ არის საქართველოს მოქალაქე.

2016 წლის 25 მარტს ნ. ტ.-მ მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს და მოითხოვა ლ. თ.-ს „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის“ პროგრამაში ჩართვა, რაზეც, 2016 წლის 29 მარტს მიიღო უარყოფითი პასუხი იმ საფუძვლით, რომ იგი არ იყო საქართველოს მოქალაქე.

2. სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად:

„საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში."

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16[1] მუხლის თანახმად:

1. *ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი არ არის, აქვს უფლება, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.*

2. წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი არ უნდა იყოს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა. წერილობითი მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში უნდა დაეხმაროს. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წერილობითი მოსაზრება ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ არის შედგენილი, ის მას არ განიხილავს.

3. სასამართლო არ არის ვალდებული, გაიზიაროს წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტები, თუმცა, თუ საჭიროდ მიიჩნევს, ის უფლებამოსილია გამოიყენოს სასამართლოს მეგობრის მიერ გამოგზავნილი მოსაზრება. ეს მოსაზრება შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აისახოს.

4. სასამართლო უფლებამოსილია საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად. საკითხის მაღალი მგრძნობელობის

გათვალისწინებით და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, ესარგებლა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და საქმის განმხილველი სასამართლოსთვის წარედგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

ამასთანავე, საკითხის მაღალი მგრძნობელობის გათვალისწინებით, ვინაიდან აღნიშნულ საქმეში შესაძლოა გამოიკვეთოს დისკრიმინაციული მოპყრობა, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, ესარგებლა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და სააპელაციო წესით საქმის წარმოების გაგრძელების შემთხვევაში, საქმის განმხილველი სასამართლოსთვის წარედგინა სასამართლო მეგობრის მოსაზრება (**Amicus Curiae**).

სასამართლო მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და იგი მხოლოდ იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას ახდენს, რომელიც დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით მსგავს საქმეებზე.

3. სამართლებრივი შეფასება

3.1. ზოგადი დებულებები

თანასწორობის უფლება გარანტირებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის მე–14 მუხლის მიხედვით, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის,

გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

ამავე კანონის მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

ამავე მუხლის მე–3 პუნქტის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის რეგულირების ქვეშ, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არა აქვს ობიექტური და გონივრული***

გამართლება, ე.ი. *არ ისახავს კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.*[1]

3.2. მტკიცების ტვირთის გადანაწილება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 ტერცია კარი განსაზღვრავს ნორმებს, რომლითაც სასამართლომ დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტის შეფასებისას უნდა იხელმძღვანელოს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ვინაიდან დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების განხილვის სპეციფიკა არ არის დარეგულირებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, შესაბამისად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია იყენებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 ტერცია კარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესი განსხვავდება სხვა ტიპის სამართალწარმოების დროს გამოსაყენებელი წესისგან. უშუალოდ დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ მსჯელობამდე, მნიშვნელოვანია, სასამართლომ სწორად გადაწყვიტოს მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხი, რათა გარანტირებული იყოს სავარაუდო დისკრიმინაციული ფაქტის სწორი შეფასება.

კოდექსის 363[3]-ე მუხლის მიხედვით, პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. „დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი“ არ გულისხმობს მხარისთვის ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენის იმ მოცულობით დავალდებულებას, რაც საჭიროა შემდგომ ეტაპზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთი ვარაუდის წარმოსაშობად მნიშვნელოვანია, მხარემ წარმოადგინოს იმ ფაქტებისა და მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს და ობიექტური დამკვირვებლისთვის წარმოშობს მოსარჩელის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ვარაუდს რაიმე ნიშნით.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ „დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი“ ნიშნავს, რომ განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი, რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა

[1] *Eweida and others v. United Kingdom*, application nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, (ECtHR, 15/01/2013), §§ 87-88; *Burden v. United Kingdom*, application no: 13378/05, (ECtHR, 29/04/2008), § 60;

კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სასამართლოს უნდა წარმოუდგინოს ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც წარმოადგენს განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას.[2]

განსახილველ შემთხვევაში, სასურველი იქნება სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ გარემოებებზე, რომლის მიხედვითაც იკვეთება, რომ პირს შეეზღუდა ჯანმრთელობის დაცვის უფლება. შეზღუდვის სამართლებრივ საფუძვლად კი წარმოდგენილია მოქალაქეობა,როგორც დიფერენცირების ნიშანი. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საკმარისად მიიჩნევს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და დადგენილად მიიჩნევს უფლებით სარგებლობის შეზღუდვისა და სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტს, მოპასუხე მხარეზე უნდა გადავიდეს მტკიცების ტვირთი, რომ განსხვავებულ მოპყრობას აქვს ლეგიტიმური მიზანი, რომელსაც ექნება ობიექტური და გონივრული დასაბუთება. ამასთან, სასურველია სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ სამკურნალო პროგრამის ბენეფიციარს 2021 წლამდე აქვს საქართველოში სპეციალური ბინადრობის ნებართვა, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ იგი საქართველოს ტერიტორიაზე არ იმყოფება ტურისტული მიზნით და მჭიდრო კავშირი აქვს სახელმწიფოსთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ შესაძლოა მიიჩნიოს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და მტკიცებულებები წარმოშობს მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდს.

იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეს წარმოეშობა ასეთი ვარაუდი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3]-ე მუხლის საფუძველზე, მტკიცების ტვირთი გადავა მოპასუხე მხარეზე, კერძოდ, მოპასუხეს მოუწევს იმის მტკიცება, რომ ასაკის ნიშნით განხორციელებული განსხვავებული მოპყრობა განპირობებული იყო ლეგიტიმური მიზნით, რომელიც არის მიზნის მიღწევის გონივრული და ობიექტური საშუალება.

3.2 კანონით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობაც შესაძლოა მოსარჩელეს შეზღუდვოდა

წინამდებარე შემთხვევაში, უფლება, რომლით სარგებლობისას მოსარჩელეს შეიძლება ხელი შეეშალოს, დაკავშირებულია ჯანმრთელობის დაცვის უფლებასთან.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება, როგორც სოციალური სახელმწიფოს პრინციპის გამოხატულება, განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 37–ე მუხლის ნორმატიული შინაარსით, რომელიც ადგენს ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების სამ

[2] მტკიცების ტვირთის გამოყენების შესახებ იხილეთ სახალხო დამცველის რეკომენდაციაში: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3877.pdf გვ. 6-10

ურთიერთდაკავშირებულ კრიტერიუმს – გეოგრაფიულ, ფინანსურ და ინფორმაციულ ხელმისაწვდომობას.[3]

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის „ა“, „გ“ და „დ“ პუნქტები განამტკიცებენ სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებას, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, პატივის, ღირსებისა და მისი ავტონომიის აღიარებას.

თითოეულ ადამიანს აქვს უფლება ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტზე, რომელიც მისი ცხოვრების ღირსეულ პირობებს უზრუნველყოფს. ჯანმრთელობის დაცვის ეფექტური სისტემა კი ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლესი სტანდარტის რეალიზაციის თანაბარ შესაძლებლობას უნდა უზრუნველყოფდეს. ჯანმრთელობის დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად აღებული ვალდებულებები უნივერსალურია. არსებობს მყარი კორელაცია ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაციასა და სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონეს შორის, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან ხელმისაწვდომ და ადეკვატური სამედიცინო და სარეაბილიტაციო სერვისების შეთავაზებასაც მოიაზრებს ამ უფლებასთან მიმართებაში.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის მიხედვით, პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე.[4] „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 24-ე მუხლის შესაბამისად კი მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით და ავადმყოფობათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოები ესწრაფვიან და უზრუნველყოფენ, რომ არც ერთ ბავშვს არ შეელახოს უფლება, ხელი მიუწვდებოდეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ამგვარ მომსახურებაზე.[5]

ასევე, „ევროპის სოციალური ქარტიას“, მე-13 მუხლის თანახმად, „სოციალური და სამედიცინო დახმარების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად, მონაწილე მხარეები იღებენ ვალდებულებას, ნებისმიერმა პირმა, რომელსაც არ გააჩნია ადეკვატური რესურსები, ან არ შეუძლია მოიპოვოს ეს რესურსები საკუთარი მცდელობის, ან სხვა წყაროების შედეგად,

---

[3] საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში „ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, გვ. 13. იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3286.pdf

[4] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი. მიღების თარიღი: 16/12/1966. ძალაში შესვლის თარიღი: 03/01/1976. საქართველომ მოახდინა რატიფიცირება: 03.05.1994. იხ. ვებ-გვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577

[5] „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენცია. მიღების თარიღი: 20/11/1989. ძალაში შესვლის თარიღი: 02/07/1994. საქართველო მოახდინა რატიფიცირება: 1994 წელს. იხ. ვებ-გვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901

უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისი დახმარებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიიღოს აუცილებელი დახმარება.[6]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უფლება, რომლის სარგებლობაში შესაძლოა მოსარჩელეს ხელი შეეშალა, უკავშირდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის დაცვისა და უზრუნველყოფის უფლებას.

3.3 განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, იმისათვის, რომ დადგინდეს აქვს თუ არა ადგილი დისკრიმინაციას, აუცილებელია, რომ განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.

კონსტიტუციურ დონეზე, პირთა შორის უფლებრივი თანასწორობა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით, რომლის „მიზანს წარმოადგენს არა პირთა აბსოლუტური თანასწორობის მიღწევა, არამედ არსებითად თანასწორი პირებისადმი თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა."[7] „ამ პრინციპის ფარგლებში, სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის იდეასთან, უფლების არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას"[8]

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თანასწორობის ბუნებიდან გამომდინარე, მისი მოქმედება დაკავშირებულია შესადარებელი ჯგუფების არსებობასთან, ხოლო საცხოვრებელი ადგილის ნიშნით დიფერენცირება კი გულისხმობს განსახლების სხვადასხვა გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთათვის განსხვავებული უფლებების დადგენას"[9]

---

[6] ევროპის სოციალური ქარტია. მიღების თარიღი: 1961 წელს. საქართველომ მოახდინა რატიფიცირება: 01/07/2005. იხ. ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1199.pdf

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის # 2/1/536 გადაწყვეტილება II-8

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის # 1/1/493 გადაწყვეტილება II-78

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის #2/1/473 გადაწყვეტილება. II-8

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. „აღნიშნული დებულების მიზანია საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა მიმართ კონსტიტუციური უფლებების გავრცელების ფარგლების განსაზღვრა. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს კონსტიტუციური უფლების მოქმედებას პირთა წრის მიმართ და ადგენს გარანტიას, რომ კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებული კონსტიტუციური უფლებები საქართველოში მცხოვრებ უცხოელებზე ვრცელდება საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად, თუ საწინააღმდეგო თვით კონსტიტუციიდან არ გამომდინარეობს."[10]

„დემოკრატიული საზოგადოების არსებობა მოითხოვს მისი თითოეული წევრის უფლების პატივისცემას. საზოგადოების წევრებისათვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. სწორედ საქართველოში მცხოვრები უცხოელის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირი განაპირობებს იმას, რომ კონსტიტუციამ მათ განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა და კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის კონტექსტში მნიშვნელოვნად გაუთანაბრა საქართველოს მოქალაქეებს.[11] ,,უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორიც საქართველოს მოქალაქეს. შესაბამისად, კანონით მინიჭებული უფლებრივი და მოვალეობრივი სპექტრის განსაზღვრის თვალსაზრისით, მოქალაქეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება მნიშვნელობა, თუ ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს კონსტიტუცია ან კანონი.

აქედან გამომდინარე, განსხვავებულ მდგომარეობაში არიან პირები მოქალაქეობის ნიშნით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს ბინადრობის ნებართვის მქონე პირთა მიერ სოციალური პროგრამებით სარგებლობაზე უარის ლეგიტიმურობა რამდენჯერმე ეჭვქვეშ დააყენა და დაადგინა თანასწორობის უფლების დარღვევა.[12] სოციალური ბენეფიტებით სარგებლობისას განსხვავებულ მიდგომაზე საუბრისას ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ბინადრობის ნებართვის მქონე პირი მოქალაქეთა თანასწორად იხდის კანონით დადგენილ გადასახადებს და თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოების კეთილდღეობაში.[13]

---

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ No3/1/512 2012 წლის 26 ივნისი. II-93

[11] იქვე.. II-93-94-95

[12] ECtHR, *Koua Poirrez v France*, App. No. 40892/98, 30/09/2003, §§ 41, 49

[13] ECtHR, *Gaygusuz v .Austria*, App. no. 17371/90, 16/09/1996, § 42.

მსგავსი მიდგომა აქვს განვითარებული ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესს სასამართლოს, რომელმაც აღნიშნა, რომ განსხვავებული მოპყრობა უცხოელების მიმართ დაუსაბუთებელი და გაუმართლებელია, მაშინ როდესაც ბინადრობის ნებართვის მქონე პირები მოქალაქეთა მსგავსად, იხდიან გადასახადებს და ქვეყანაში მოკლე ვადით მყოფი ვიზიტორებისაგან განსხვავებით, მათ შეიძლება მრავალი წელი იცხოვრონ ქვეყანაში, იმუშაონ და ხელი შეუწყონ სახელმწიფოს ეკონომიკურ ზრდას.[14]

ამდენად, აღნიშნული პროგრამით სარგებლობასთან მიმართებით, საქართველოს მოქალაქეები და ბინადრობის ნებართვის მქონე პირები არსებითად თანაბარ მდგომარეობაში იმყფებიან.

3.4 ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმური მიზანი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, არათანაბარი მოპყრობა ან პირობების შექმნა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად, თუ ის ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და აქვს გონივრული და ობიექტური განსხვავება.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, მხოლოდ ძალიან სერიოზული მიზეზებით შეიძლება მოქალაქეობაზე დაფუძნებული განსხავებული მოპყრობის გამართლება.[15]

ჯანმრთელობის დაცვის უფლება სოციალურ უფლებათა კატალოგში მოიაზრება, შესაბამისად იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული პირთა სოციალურ კეთილდღეობასთან და სასიცოცხლოდ აუცილებელია ყველასთვის, განურჩევლად მოქალაქეობისა. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოსა და თვითმმართველი ქალაქების ეკონომიკურ-ფინანსური რესურსი ამოუწურავი არ არის, თუმცა იგი მაქსიმალურად მორგებული უნდა იყოს დახმარების საჭიროების მქონე პირების მოთხოვნილებებზე და მექანიკურად, მხოლოდ მოქალაქეობრივი და რეგისტრაციის ცენზის დაწესებით არ უნდა გამორიცხავდეს საჭიროების მქონე პირს. მით უმეტეს იმ პირობებში, რომ ამ უკანასკნელს აქვს ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალურად ცხოვრების უფლება, საქართველოს მოქალაქეთა თანასწორად იხდის კანონით დადგენილ გადასახადებს და თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოების კეთილდღეობაში, როგორც ეს არის აღნიშნული ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლით.[16]

---

[14] US Supreme Court, *Graham v Department of Pub. Welfare,* 403 U.S. 365 (1971), II

[15] ECtHR, *Fawsie v. Greece*, Application no: 40080/07, 28.10.2010, § 35*; Gaygusuz v. Austria*, Application no: 17371/90, 16/09/1996, § 42

[16] EChr, case of GAYGUSUZ v. AUSTRIA. (Application no. 17371/90), §. 42.

ამასთან, ბავშვთა უფლებათა შესახებ ჟენევის დეკლარაცია რასობრივი თუ მოქალაქეობრივი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას.[17] ამავეს ემსახურება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიერ შემუშავებული კომენტარი, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოებს პოლიტიკისა თუ პროგრამების განხორციელებისას პრიორიტეტად ბავშვთა უზენაესი ინტერესი დაისახონ.[18]

ბავშვთა უფლებების შესახებ გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაციის მიხედვით, ბავშვები სარგებლობენ უფლებით, საჭიროების შემთხვევაში, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მიიღონ სპეციალური მკურნალობა. უფლებით სარგებლობა კი, მათ რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, წარმოშობის, მოქალაქეობის და სხვა ნიშნის მიუხედავად შეუძლიათ.[19]

როგორც გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა განმარტა, ბავშვთა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ, რომ ბავშვის ჯანმრთელობა არ გაუარესდეს განსხვავებული მოპყრობის შედეგად. დისკრიმინაცია კი, სხვადასხვა, მათ შორის მოქალაქეობრივი, ეთნიკური თუ სოციალური ნიშნით კომიტეტის არაერთი დოკუმენტით აკრძალული ქმედებაა.[20] კომიტეტი ასევე ხაზს უსვამს თითოეული ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის ვალდებულებას სახელმწიფოს მხრიდან ისეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც უკავშირდება მკურნალობის შეთავაზებას, შეჩერებასა და შეწყვეტას.[21] ბავშვებს აქვთ უფლება მიიღონ სხვადასხვა ხასიათის სერვისები, მათ შორის პრევენციული, ხელშემწყობი, სამკურნალო, სარეაბილიტაციო თუ პალიატიური.[22] სახელმწიფოებს ასევე ევალებათ უზრუნველყონ, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერვისები ხელმისაწვდომი იყოს უკლებლივ ყველა ბავშვისათვის.[23] ამასთან, ყველანაირი ბარიერი, რაც ხელს უშლის ბავშვს მიიღოს ჯანდაცვასთან დაკავშირებული სერვისი, იქნება

---

[17] ბავშვთა უფლებათა შესახებ ჟენევის დეკლარაცია, მიღებული: 26/12/1924

[18] Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment 14, The right to the highest attainable standard of health (Twenty-second session, 2000), U.N. Doc. E/C.12/2000/4 (2000), reprinted in Compilation of General Comments and General Recommendations Adopted by Human Rights Treaty Bodies, U.N. Doc. HRI/GEN/1/Rev.6 at 85 (2003). §24.

[19] ბავშვთა უფლებების შესახებ გენერალური ასამბლეის დეკლარაცია, მიღებული: 20/11/1959, პრინციპი 1 და 5.

[20] ბავშვის უფლებათა კომიტეტი, General comment No. 15 (2013) on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health (art. 24), მიღებულია კომიტეტის 62-ე სესიაზე, 14/01-01.02/2013. §8.

[21] *Ibid.,* §14.

[22] ბავშვის უფლებათა კომიტეტი, General comment No. 15 (2013) on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health (art. 24), მიღებულია კომიტეტის 62-ე სესიაზე, 14/01-01.02/2013, §25.

[23] *Ibid.,* §28.

ეს ფინანსური, ინსტიტუციური თუ კულტურული, აღმოფხვრილ უნდა იქნეს.[24] ამას გარდა, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან არ განახორციელონ ისეთი ქმედებები, რაც შეზღუდავს ბავშვთა წვდომას ჯანდაცვაზე.[25] კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული თუ სხვაგვარი ზომები, იმისათვის რომ ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის განხორციელება დისკრიმინაციის გარეშე იქნეს შესაძლებელი. ის კანონები კი, რომლებსაც უფლებასთან წვდომასთან დაკავშირებით დისკრიმინაციული ხასიათი გააჩნიათ, უნდა გადაიხედოს და შეიცვალოს. ამგვარი რეფორმების გატარებისას სახელმწიფოებს შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშირისო სააგენტოების და დონორების დახმარებით.[26]

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 67-ე საერთაშორისო ასამბლეაზე გამოთქმულ იქნა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ უნდა გაძლიერდეს ჯანდაცვის სისტემები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ღირსეულ პირობებში სამედიცინო მომსახურების შეთავაზება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ამასთან, აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვები და მათი ოჯახები სხვა გამოწვევებთან ერთად, აწყდებიან საზოგადოების მხრიდან გარიყვას, სტიგმასა და იზოლაციას, რასაც ემატება სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.[27]

4. დასკვნითი ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სხვა პრინციპებისა და დამკვიდრებული მიდგომებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ უნდა აჩვენოს სასამართლოს, რომ მას მოქალაქეობის ნიშნით შეეზღუდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი და განმტკიცებული უფლება ჯანმრთელობაზე. თავის მხრივ, მოპასუხე მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ მისი უარი განპირობებული იყო ობიექტური და გონივრული კრიტერიუმებით, ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი და არ ეფუძნებოდა მოქალაქეობრივი ნიშნით დისკრიმინაციულ მოტივებს.

---

[24] ბავშვის უფლებათა კომიტეტი, General comment No. 15 (2013) on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health (art. 24), მიღებულია კომიტეტის 62-ე სესიაზე, 14/01-01.02/2013. §29.

[25] *Ibid.,* §72.

[26]ბავშვის უფლებათა კომიტეტი, General comment No. 15 (2013) on the right of the child to the enjoyment of the highest attainable standard of health (art. 24), მიღებულია კომიტეტის 62-ე სესიაზე, 14/01-01.02/2013. §94.

[27] SIXTY-SEVENTH WORLD HEALTH ASSEMBLY. WHA67/2014/REC/1. იხ. ვებ-გვერდი: http://www.who.int/mental_health/maternal-child/WHA67.8_resolution_autism.pdf?ua=1

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობ რა ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-161 მუხლით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

პატივისცემით,